

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

11.08. 2015 წელი

2 ეგზ.

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 18/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1	შემოკლებანი:.....	3
2	შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
3	აუდიტის მიზანი და მასშტაბი	6
4	საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	7
5	ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების ინვენტარიზაცია.....	8
6	შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.....	10
7.	შრომის ანაზღაურება	13
8.	სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“.....	16
9.	მგზავრობის ხარჯები.....	17
10.	მივლინების ხარჯები.....	18
11.	გრანტის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა.....	20
11	აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	21

1 შემოკლებანი:

➤ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ უნივერსიტეტი;

➤ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭო - საბჭო.

2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

✓ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „სააბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ და უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული ბალანსზე რიცხული აქტივების და ვალდებულებების, მატერიალური ფასეულობების, საცნობარო მუხლებში აღრიცხული ძირითადი აქტივების, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია; (გვ. 9)

✓ უნივერსიტეტის მიერ აუდიტის პერიოდში განხორციელებული 316 984 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ხარისხის, მოცულობის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი; (გვ. 11)

✓ უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსის, სპორტდარბაზისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის დაშლის შედეგად მიღებული 1 224 კვ.მ სახურავის კანონშესაბამისად განკარგვა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, ხოლო შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოს არაიდენტიფიცირების პირობებში გადახდილია 679,70 ლარი; (გვ. 13)

✓ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის N57 დადგენილებით განსაზღვრულ და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სავალდებულო სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის კომპონენტებს. კერძოდ, სავალდებულო დატვირთვით განსაზღვრული 22 039 საათის ნაცვლად, ფაქტობრივი დატვირთვა შეადგენს 15 659 საათს, 6 380 საათით ნაკლებს; (გვ. 14)

✓ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე- 2 მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, პერსონალი სამსახურში მიიღება ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფაქტობრივი დასაქმება განხორციელებულია 2012, 2013 და 2014 წლებში; (გვ. 15)

✓ უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ გაწეულია 23 270 ლარის ხარჯი; (გვ. 15)

✓ სასწავლო-სოციალურ პროგრამაში „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ მონაწილეობის მსურველთა შერჩევის ყველა კრიტერიუმში არ არის იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველის სტატუსი, რასაც პროგრამის მიზანი ითვალისწინებს, ხოლო „მრავალშვილიანი ოჯახი ექვსი და მეტი შვილის“ შეფასების კრიტერიუმში ურთიერთსაწინააღმდეგო პირობებს მოიცავს; (გვ. 16)

✓ ქალაქ ვენაში, პროექტი „გაეროს მოდელირება ვენაში“ მონაწილეობასთან დაკავშირებით, აპლიკანტების მგზავრობისათვის, პროგრამაში მონაწილეობის რეგისტრაციისთვის და ცხოვრებისთვის გაცემული 5 154 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი; (გვ. 18)

✓ „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2014 წლის 17 ოქტომბრის N02-04/305 ბრძანებებით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ, მივლინებისათვის გაწეულია 928,35 ლარის ხარჯი; (გვ. 19)

✓ ულტრამაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფის (სხვადასხვა დეტექტორით) შესყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, გამარტივებულ დეკლარაციებში ასახული მონაცემები და ფაქტობრივად მიღების მდგომარეობა ურთიერთშეუსაბამოა; (გვ. 20)

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

✓ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს, რომ სრულფასოვნად განხორციელდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლს; აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების დადგენას; გამოუყენებელი აქტივების გამოვლენას; ფინანსური და

არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმებას; არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმებას; ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმებას და აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიური ნაშთების შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან;

✓ დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, სატენდერო წინადადებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებით;

✓ დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს აქტივების კანონშესაბამისად განკარგვას, ასევე სამუშაოების მიღება-ჩაბარების განხორციელებას ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს სრულ იდენტიფიცირებას;

✓ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აკადემიური საბჭოს დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესორ-მასწავლებელთა სავალდებულო სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაზე;

✓ უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გაძლიერდეს მონიტორინგი, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, პერსონალის დასაქმებაზე, აგრეთვე წესდებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯების გაწევაზე;

✓ გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს სათანადო ღონისძიებები, სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესით გათვალისწინებული მიზნების, შეფასების კრიტერიუმების და პროგრამის შესაბამისად სტუდენტთა შერჩევის ურთიერთშესაბამისობასთან დაკავშირებით;

✓ უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დააწესოს სათანადო კონტროლი და ფულადი სახსრების ხარჯვა განხორციელოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე;

✓ უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დააწესოს სათანადო კონტროლი და უზრუნველყოს, რომ მივლინების ხარჯების გაწევა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების“ შესაბამისად;

✓ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გონივრულ ვადაში იმსჯელოს და უზრუნველყოს ულტრამაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფის (სხვადასხვა დეტექტორით) შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ვალდებულებების, გამარტივებული დეკლარაციების მონაცემებისა და ფაქტობრივად მიღების შესაბამისობაში მოყვანა.

3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ 2014 წელს განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ 2014 წელს განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

1. შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემის მდგომარეობა;
2. მივლინებისათვის გაწეული ხარჯების მდგომარეობა;
3. წარმომადგენლობითი ხარჯების განკარგვის მდგომარეობა;
4. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
5. აქტივების მართვა-განკარგვის მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური

საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაზამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

უნივერსიტეტი არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის დამოუკიდებლად ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და წესდებით განაზღვრულ უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტის სრულყოფილი შედეგაა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების-ფაკულტეტებისაგან, ბიბლიოთეკისაგან და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატისაგან, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოსაგან, საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სასწავლო, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ერთეულებისაგან. უნივერსიტეტის

მართვის ორგანო აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 4.1.

ხარჯების დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
ხელფასი	10 257,5
მივლინება	189,6
სხვა საქონელი და მომსახურება	1 159,4
არაფინანსური აქტივები	890,0
ემერიტუსი, სტიპენდია, სასწავლო-სოციალური პროგრამა	508,4
საგადახდო ხარჯი	186,2
საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი	4 993,5
ჯამი	18 594,9

5 ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა: ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა და ასევე იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ; უძრავი ქონების ინვენტარიზაცია – სამ წელიწადში ერთხელ მაინც; საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია – ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც; აქტივების იჯარით გადაცემისა და გამოსყიდვის დროს, ასევე ქონების სარგებლობაში გადაცემის სხვა შემთხვევაში (მაგ. უზუფრუქტი, ქირა, თხოვება, პროგრამების განმახორციელებლებზე აქტივების ხელშეკრულებით გადაცემა და სხვ.); ძირითადი აქტივების, რომლებიც

ინვენტარიზაციის მომენტში შესაძლებელია იმყოფებოდნენ ორგანიზაციის გარეთ, ორგანიზაციიდან მათ გასვლამდე.

გამოვლენილი გარემოება:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. წესის მესამე მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად – საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა: ა) იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ; ბ) უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც და გ) საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო ამავე წესის მეხუთე მუხლის თანახმად, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე იქმნება საინვენტარიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობის შერჩევა თანამშრომლებისგან/მოსამსახურეებისგან ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ბოლო ხუთი წლის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ ბალანსზე რიცხული აქტივების და ვალდებულებების, საცნობარო მუხლებში აღრიცხული ძირითადი აქტივების, მატერიალური ფასეულობების, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია არ არის განხორციელებული, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ბალანსზე რიცხული აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი მდგომარეობა მაღალი რისკის შემცველია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტსა და შპს კომპაუდიტს“ შორის 2013 წლის 14 მაისს გაფორმებული N89 ხელშეკრულება (SPA 130009341), სხვა აუდიტორულ მომსახურებათან ერთად, ითვალისწინებდა მატერიალური აქტივების საინვენტარიზაციოდ მომზადებას. კერძოდ, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების

მიხედვით დალაგებას ადგილმდებარეობის მითითებით; აქტივებზე საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭება, საინვენტარიზაციო ფინიშების დამზადება და დამაგრება; აქტივების ელექტრონული მონაცემების გასწორება სახეობების, მოდელის, გამოშვების და ექსპლუატაციაში შესვლის თარიღების, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების და განლაგების ადგილის მითითებით; ჩამოსაწერი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენა; სააღრიცხვო მონაცემებთან შედარებას. აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებული 4 000 ლარი გადახდილია მიმწოდებელზე სრულად, მაგრამ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მომსახურების გაწევის დოკუმენტური მტკიცებულება.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს, რომ სრულფასოვნად განხორციელდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლს; აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების დადგენას; გამოუყენებელი აქტივების გამოვლენას; ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმებას; არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმებას; ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმებას და აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტიური ნაშთების შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

6 შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები

კრიტერიუმი:

სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით სატენდერო წინადადება ითვალისწინებს ძირითად სამუშაოებს და მასთან დაკავშირებულ დამხმარე სამუშაოებს. ყველა შესასრულებელ სამუშაოზე მითითებულია ზომის ერთეული დასახელება და სამუშაოს მოცულობა. შესრულებულ სამუშაოებზე მიმწოდებლებთან გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო შესრულებული სამუშაოს შესაბამისობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნები.

გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტის შენობის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. სამუშაოებთან დაკავშირებით სატენდერო წინადადების ტექნიკური

დავალების ნაწილში, შესასრულებელი სამუშაოების დასახელებაში მითითებულია ძირითადი სამუშაოების დასახელება და რაოდენობა (75კვ.მ კედლების მომზადება შესაღებად, 44.25კვ.მ პარკეტის იატაკის მოხვეწვა და მოლაკვა), აგრეთვე ამავე სამუშაოს შემადგენელი სამუშაოების დასახელება და რაოდენობა (ბადის მოწყობა ფითხის ქვეშ 270,6კვ.მ, ლაქი ნიტრო 7,08 კვ, ლაქი ზეთოვანი 14,16 კვ, სამალიარო ბადე 27,5კვ.მ) და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ ფასების ცხრილში, შემდგომში ხელშეკრულებაში და სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებში სრულყოფილად არ არის ასახული ყველა იმ სამუშაოს დასახელება და რაოდენობა, რასაც სატენდერო წინადადების ტექნიკური დავალება ითვალისწინებდა.

სამუშაოებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი N 6.1.

რიგით ი N	მიმწოდებელი	ხელშეკრულება			ხელშეკრულების საგანი	შესრულებული სამუშაოს ლირებულება	არაა მითითებული სამუშაოს შესრულების აქტში
		ნომერი	თარიღი	SPA			
1	ი.მ „თეიმურაზ მინდიაშვილი“	82	16.04.20 14	1400090 99	მე-2 კორპუსში კარების გამოცვლა	38440	მდგ სისქე 8მმ, სილიკატური ქაფურის გამოყენება, ფითხის გამოყენება, საღებავის სახეობა
2	შპს „ალიგატორ ი 1“	127	07.07.20 14	1400153 62	უნივერსიტეტის შენობის რემონტი	54541	სამალიარო ბადე, საღებავის სახეობა, ფითხის გამოყენება, ლაქის სახეობა; ლამინატის გამოყენება, ქვიშა ხრშოვანი ფენის ზომები, ანტისეპტური საღებავი
3	შპს „ნიმარი“	161	09.09.20 14	1400200 90	მწვანე კონცხზე საერთო საცხოვრებელში წყალგაყვანილობის მოწყობა	16334	ნასოსი 3კვ.ტ, რედუქტორი 3კვ.3-20პ, პლასტმასის მილი 50მმ, ბეტონის ხსნარი, სპილენძის სადენები 3*4+1*4 მმ
4	შპს „გო-გი“	211	28.11.20 14	1400261 04	N1 და N2 კორპუსში კარებისა და ფანჯრების მექანიზმების შეცვლა	4754	სახელური, პეტლი, ისპანიოლეტი, ადაპტორის ჩამკეტი, ბარელი, შვიცარი, დედალი, გერმეტიზაცია და სხვა.
5	შპს „რემარტი“	185	10.10.20 14	1400223 71	უნივერსიტეტის მიმდინარე რემონტი	166022	ლითონის ზოლოვანას და კუთხოვანას პარამეტრები, კერამიკუ ლი ფილების რაოდენობა, ელ სადენებისა და ავტომატური ამომრთველის ზომები და სხვა

6	შპს „ალიგატორ ი 1“	190	15.10.20 14	1400230 12	გათბობის სისტემის მილსადენის შეცვლა	36893	ბეტონის კლასი, საღებავის სახეობა, ფითხი, მეტალის მიღების ზომები,
	ჯამი					316984	

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: ა) ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან; ბ) შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების შესახებ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა, თუმცა აუდიტის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოცულობის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი.

კრიტერიუმი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული მარაგების აღრიცხვა. უნივერსიტეტსა და შპს „ვექტორს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2014 წლის 4 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N105 ხელშეკრულებით და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 ივნისის N003084314 დასკვნით ირკვევა, რომ დაშლილია უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსის, სპორტდარბაზისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის სახურავი.

გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსის, სპორტდარბაზისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის ქარისაგან დაზიანებული სახურავის, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვით, შპს „ვექტორთან“ 2014 წლის 4 ივნისს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N105 ხელშეკრულება, 41 833,80 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღეში სამუშაოები დასრულებულია და 2014 წლის 10 ივნისს გადაგზავნილია ექსპერტიზაზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროში“. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ შესრულებაში ნაჩვენებია 1 224 კვ.მ სახურავის დაშლის და 1 377კვ.მ ახალი სახურავის მოწყობის სამუშაოები. დაშლის შედეგად მიღებული აქტივების შემდგომში განკარგვასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. მიმწოდებლის მიერ შესრულებაში ნაჩვენები და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობასთან დაკავშირებით ექსპერტიზით ირკვევა, რომ სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებში „სახურავის ტალღისებური ფენილით მოწყობის“ სამუშაოებში 57კვ.მ გადახურვის მოწყობის სამუშაოებზე ექსპერტიზა ვერ მოხერხდა, რადგან სახურავზე მოწყობილია არსებული ანალოგიური ფენილი და აღნიშნული სამუშაოს მოცულობის ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა. შემსყიდველის მიერ დოკუმენტურად ვერ იქნა დადასტურებული იმ სამუშაოების ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელზეც ექსპერტიზამ დასკვნა ვერ გასცა, შესრულებაში ნაჩვენები თანხა 679,7 ლარი კი მიმწოდებელზე სრულად არის გადახდილი. ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების კორპუსის, სპორტდარბაზისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობის დაშლის შედეგად მიღებული 1 224 კვ.მ სახურავის კანონშესაბამისად განკარგვა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, ხოლო შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოს არაიდენტიფიცირების პირობებში მიმწოდებელზე გადახდილია 679,70 ლარი.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს აქტივების კანონშესაბამისად განკარგვას, ასევე სამუშაოების მიღება-ჩაბარების განხორციელებას ისეთი ფორმით, რომელიც შესაძლებელს გახდის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს სრულ იდენტიფიცირებას.

7. შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის N57 დადგენილებით დამტკიცებულია პროფესორ-მასწავლებელთა სავალდებულო სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის კომპონენტები.

გამოვლენილი გარემოება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, წესდებით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის N57 დადგენილებით განსაზღვრულია „პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვისა და აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის წესი,“ რომელიც წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2013 წლის 7 ივნისს. აღნიშნული წესით დადგენილია სავალდებულო სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის კომპონენტები. უნივერსიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებში წარმოდგენილი დოკუმენტებით კი ირკვევა, რომ სავალდებულო დატვირთვით განსაზღვრული 22 039 საათის ნაცვლად, ფაქტობრივი დატვირთვა შეადგენს 15 659 საათს, 6 380 საათით ნაკლებს.

კრიტერიუმი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის N1106 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლით განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრუქტურა. მე-10 მუხლის მიხედვით უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს და შრომის ანაზღაურების ოდენობას. 63-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული თანამდებობები და დამხმარე პერსონალი¹, აგრეთვე ამავე მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროცესში მონაწილეობის ან/და პროცესის წარმართვის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პერსონალი სამსახურში მიიღება როგორც სამტატო ნუსხით გათვალისწინებული, ასევე ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში ასახულია, რომ პერსონალი სამსახურში მიიღება როგორც სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ სამტატო ერთეულებზე, ისე ვადიანი

¹ დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტსა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში სამტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი პირები.

ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. უნივერსიტეტის წესდების 63-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული თანამდებობები და დამხმარე პერსონალი, რომლის შესაბამისად დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ფაკულტეტსა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი პირები. ამდენად, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები შეუსაბამოა უნივერსიტეტის წესდების 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 6 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პერსონალი სამსახურში მიიღება, ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ფაქტობრივად აღნიშნული პირების ნაწილი დასაქმებულია 2012 წელს, ნაწილი 2013 წელს და ნაწილი 2014 წელს, ერთი წლის ვადით². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ დასაქმებულ პირებს შორის 4 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კალათბურთელად წოდებულ ფიზიკურ პირებთან, 1 შემთხვევაში საკალათბურთო გუნდის ოპერატორ-ადმინისტრატორთან, რაზედაც 2014 წლის იანვრის თვეში გადახდილია 23 270 ლარი³. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ უნივერსიტეტსა და დასაქმებულ პირებს შორის უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის და საკალათბურთო გუნდის „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ შინაგანაწესით. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის წესდებით, საკალათბურთო გუნდი „ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, როგორც სტრუქტურული ერთეული არ არის გათვალისწინებული. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ და დაზუსტებულ 2014 წლის ბიუჯეტში აღნიშნული გუნდისათვის ხარჯები იდენტიფიცირებული არ არის, ხოლო როგორც ხელშეკრულებაშია მითითებული, თვით საკალათბურთო გუნდის შინაგანაწესი აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტის წესდების და უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრების შეუსაბამოდ გაწეულია 23 270 ლარის ხარჯი.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

² ხელშეკრულება N02-21/71 29.04.2014წ-მარინე ნიკურაძე, მოქმედების ვადა 29.04.2015წ. N02-21/76 22.05.2014წ-ციალა პეშკოვა, მოქმედების ვადა 29.04.2015წ.

³ ავთანდილ ელიაშვილი 2 700 ლარი, საფოლდ ჯერემი ჯეიმს ვენდელის მე 5 300 ლარი, ჯეკსონ ჯამი დარრელ ერიკ ებრონის ზე 5 300 ლარი, ქადუგან ჯუნორ ქარლაილ ფორდის მე 9 400 ლარი, რამაზ თურმანიძე 500 ლარი.

✓ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აკადემიური საბჭოს დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესორ-მასწავლებელთა სავალდებულო სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის ფაქტობრივი მდგომარეობასთან შესაბამისობაზე;

✓ უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ გაძლიერდეს მონიტორინგი დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად პერსონალის დასაქმებაზე, აგრეთვე წესდებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯების გაწევაზე.

8. სასწავლო სოციალური პროგრამა „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“

კრიტერიუმი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2014 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათებს. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 31 იანვრის N03 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრ, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის-ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათების მინიჭებას, პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევა კი ხდება შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ.

გამოვლენილი გარემოება:

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 31 იანვარს დამტკიცებულია უნივერსიტეტის 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სპეციალური სასწავლო-სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესი, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის-ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათების მინიჭება. პროგრამის მართვა ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ, რაზედაც შედგენილია შესაბამისი კომისიის ოქმები. წარმოდგენილი დოკუმენტების (ოქმების) მიხედვით პროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით რეგისტრირებულია 49 სტუდენტის განცხადება, საიდანაც დაფინანსებულია 34 სტუდენტი და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 21 148,4 ლარის ხარჯი. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის და შეფასების კომისიის მიერ წარმოდგენილ ოქმში, 49 განცხადებიდან 28 შემთხვევაში არ არის იდენტიფიცირებული სტუდენტთა სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სარეიტინგო ქულები, კომისიის განხილვის შედეგებით 34 სტუდენტის განცხადება დაკმაყოფილდა 14 სტუდენტს ეთქვა

უარი, ხოლო ერთი სტუდენტის შესახებ კი რაიმე სახის ინფორმაცია წარმოდგენილ მონაცემებში საერთოდ არ არის ასახული.

სოციალური პროგრამის განხორციელების წესით განსაზღვრულია პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა შერჩევის 10 კრიტერიუმი⁴, თუმცა ყველა კრიტერიუმში არ არის იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველის სტატუსი, რასაც პროგრამის მიზანი ითვალისწინებს. შეფასების „თ“ კრიტერიუმი (მრავალშვილიანი ოჯახი ექვსი და მეტი შვილი) ურთიერთსაწინააღმდეგი პირობებს მოიცავს. კერძოდ, პირველი შეფასება ითვალისწინებს „ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასება საშუალო არითმეტიკულით ტოლია ან მეტია 65 ქულის და მეორე შეფასებაში მითითებულია, რომ „ყველა სასწავლო დისციპლინაში მიღებული შეფასება ნაკლებია 65 ქულაზე“.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

გამლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები და გატრდეს სათანადო ღონისძიებები, სოციალური პროგრამის - „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ - განხორციელების წესით გათვალისწინებული მიზნების, შეფასების კრიტერიუმებისა და პროგრამის შესაბამისად სტუდენტთა შერჩევის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

9. მგზავრობის ხარჯები

კრიტერიუმი:

2014 წლის 3-9 აგვისტოს ქალაქ ვენაში პროექტი „გაეროს მოდელირება ვენაში“ ნაწილობრივ დაფინანსებულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასევე გაეროს წარმომადგენლების მხრიდან. პროგრამაში გამარჯვებულ აპლიკანტს უწევს ცხოვრების, მგზავრობის გადასახადის და რეგისტრაციის თანხის საკუთარი სახსრებით დაფინანსება. უნივერსიტეტის თვითმმართველობის გამგეობის მიერ შერჩეული სამი აპლიკანტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 10 ივლისის 03-06/128 ბრძანებით, დაფინანსებულია ცხოვრების, მგზავრობის გადასახადის და რეგისტრაციისათვის საჭირო თანხით.

გამოვლენილი გარემოება:

⁴ სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში, მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, სტუდენტი რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სტუდენტი რომელიც არის იძულებით გადაადგილებული სტატუსის მქონე, სტუდენტი რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, სტუდენტი რომელიც არის ობოლი, სტუდენტი რომელიც არის სტიქიით დაზარალებული ოჯახიდან, სტუდენტი რომელიც არის მარტოხელა დედა.

უნივერსიტეტის თვითმმართველობის გამგეობის 2014 წლის 1 ივლისის სხდომის ოქმით (N3) დადგენილია, რომ ავსტრიაში, გაეროს მოდელირების კონფერენციაზე მონაწილეებისთვის სტუდენტების ხარჯების დასაფინანსებლად, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თითოეულზე 717 ევროს ექვივალენტი ლარი. არასამთავრობო ორგანიზაციის „მრავალფეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ მიერ, 2014 წლის 4 ივლისს, უნივერსიტეტის სახელზე წარმოდგენილია წერილობითი ინფორმაცია, რომ 2014 წლის 3-9 აგვისტოს „ქალაქ ვენაში ტარდება პროექტი „გაეროს მოდელირება ვენაში“ და გამარჯვებული აპლიკანტების⁵ მონაწილეობა პროექტში მნიშვნელოვანია როგორც მისი პიროვნული წინსვლისათვის, ასევე საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის. ამავე წერილით ირკვევა, რომ აღნიშნული პროექტი ნაწილობრივ დაფინანსებულია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასევე გაეროს წარმომადგენლების მხრიდან. პროგრამაში გამარჯვებულ აპლიკანტს უწევს ცხოვრების, მგზავრობის გადასახადის და რეგისტრაციის თანხის საკუთარი სახსრებით დაფინანსება. ზემოთ აღნიშნული ხარჯების დასაფინანსებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 10 ივლისის N02-06/128 ბრძანებით, თითოეულ სტუდენტზე გამოყოფილი და გადახდილია 717 ევროს კურსით 1 718 ლარი და სულ 5 154 ლარი. გაცემული თანხის მგზავრობისთვის, პროგრამაში მონაწილეობის რეგისტრაციისთვის და ცხოვრებისთვის ხარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დააწესოს სათანადო კონტროლი და უზრუნველყოს, რომ ფულადი სახსრების ხარჯვა განხორციელდეს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე.

10. მივლინების ხარჯები

კრიტერიუმი:

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად, სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დამქირავებლის ბრძანებით ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას, სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით, ხოლო მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად

⁵ მინურ პაქსადის, უჩა აბრამიშვილის და ბოჩია ზარანდიას

გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე. უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 17 ოქტომბრის N02-04/305 ბრძანების თანახმად, მივლინებული პირის მგზავრობის, სასტუმროსა და სადღეღამისო ხარჯების საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით.

გამოვლენილი გარემოება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2014 წლის 17 ოქტომბრის N02-04/305 ბრძანებით, მოწვეული მასწავლებელი⁶ 6 დღით, მივლინებულია ქალაქ თბილისში. ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, სამივლინებო თანხა ანაზღაურდება გრანტის ხარჯებიდან ავანსად 1108,35 ლარი, მგზავრობის, სასტუმროსა და სადღეღამისო ხარჯებისათვის, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით. „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით, ხოლო მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული პირის მივლინებისათვის, უნივერსიტეტის მიერ გაწეულია 1 108,35 ლარის ხარჯი, მათ შორის 203,67 ლარი დაკავებულია მივლინებულ პირზე საშემოსავლო გადასახდი, ხოლო დარჩენილი 904.68 ლარი გადახდილია უნაღდო ანგარიშსწორებით, თუმცა არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სადღეღამისო ხარჯების ნორმის (15 ლარი) გათვალისწინებით, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2014 წლის 17 ოქტომბრის N02-04/305 ბრძანებით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ მივლინებისათვის გაწეულია 928,35 ლარის⁷ ხარჯი.

რეკომენდაცია

უნივერსიტეტს:

⁶ ლია ინაიშვილი.

⁷ $1108,35 - 15 \times 6 = 928,35$ ლარი.

უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურმა დააწესოს სათანადო კონტროლი და უზრუნველყოს, რომ მივლინებისათვის ხარჯების გაწევა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების“ შესაბამისად.

11. გრანტის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა

კრიტერიუმი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და AP/96/13 პროექტის ფარგლებში კომპანია „ვოტერს გეზ.მ.ბ.ხ. ხიცინგერ ჰაუშპტრასს 145 1130 ვენა, ავსტიას“ შორის 2014 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N162 ხელშეკრულება. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია N3111141793 და N3111141813.

გამოვლენილი გარემოება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და AP/96/13 პროექტის ფარგლებში კომპანია „ვოტერს გეზ.მ.ბ.ხ. ხიცინგერ ჰაუშპტრასს 145 1130 ვენა, ავსტიას“ შორის 2014 წლის 10 სექტემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება ულტრამაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფის (სხვადასხვა დეტექტორით) შესყიდვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ფასი შეადგენს 222 750 აშშ დოლარს და მოიცავს შეფუთვის, მარკირების, ტვირთის დაზღვევის, ჩამოტანისა და მონტაჟის ღირებულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების მიღებასთან დაკავშირებით 2014 წლის 23 ოქტომბერს (N3111141793 -390 280 ლარი) და 2014 წლის 29 ოქტომბერს (N3111141813 -5 358,68 ლარი) გამოწერილი გამარტივებული დეკლარაციის მიხედვით მიმწოდებელის მიერ შემოტანილია 226 079 აშშ დოლარის⁸ კურსით 395 638,69 ლარის ღირებულების აქტივები. უნივერსიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებში მიმწოდებელთან ანგარიშსწორებაში ჩათვლილია 390 280 ლარი, მათ შორის აქტივების მიღებად ნაჩვენებია 381 177 ლარი, ხოლო ტრენინგებისათვის აღიარებულია ხარჯად 9 103,91 ლარი. ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ულტრამაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფის (სხვადასხვა დეტექტორით) შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, გამარტივებულ დეკლარაციებში ასახული მონაცემები და ფაქტობრივად მიღების მდგომარეობა შეუსაბამოა.

რეკომენდაცია

⁸ საბუღალტრო ჩანაწერებში ასახული ეროვნული ვალუტის კურსი 1 აშშ დოლარი 1,75 ლარი.

უნივერსიტეტი:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გონივრულ ვადაში იმსჯელოს და უზრუნველყოს ულტრამალალი წნევის სითხური ქრომატოგრაფის (სხვადასხვა დეტექტორით) შესყიდვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, გამარტივებული დეკლარაციის მონაცემებისა და ფაქტობრივად მიღების შესაბამისობაში მოყვანა.

11 აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი/

ნ. ბოლქვაძე 11.08.2015

რამაზ დიასამიძე
/აუდიტორ ასისტენტი/

რ. დიასამიძე 11.08.2015